

„შპს გლოვო ჯორჯია ინფრასტრუქტურა“
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2024 წელი 31 დეკემბერი

შინაარსი

• ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	2
• მოგება-ზარალის ანგარიშგება	3
• საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	4
• განმარტებითი შენიშვნები.....	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა	5
3. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	8
4. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	8
5. მარაგები	8
6. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ცვლილება	9
7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9
8. გრძელვადიანი ვალდებულებები	9
9. კაპიტალი	9
10. ამონაგები	9
11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	10
12. საპროცენტო ხარჯი	10
13. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	10
14. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	10
15. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ	10
16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	10

შპს გლოვო ჯორჯია ინფრასტრუქტურა
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	51,111	441,883	2,156,824
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4	1,195,005	1,890,953	407,761
მარაგები	5	120,277	126,286	525,059
საგადასახადო აქტივები		858,440	925,614	477,877
სხვა მოკლევადიანი აქტივები		309,771	271,431	87,072
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,534,603	3,656,167	3,654,593
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	5,575,832	6,160,670	5,160,273
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,575,832	6,160,670	5,160,273
სულ აქტივები		8,110,436	9,816,837	8,814,866
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	7	765,332	1,278,076	1,152,426
საგადასახადო ვალდებულებები		483,716	187,735	51,490
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		799,881	826,223	433,454
გადასახდელი პროცენტები		1,336,992	728,527	253,357
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		3,385,921	3,020,561	1,890,728
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები		11,611,864	10,244,430	6,682,339
სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები	8	1,901,834	2,269,006	2,413,011
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		13,513,697	12,513,435	9,095,350
სულ ვალდებულებები		16,899,618	15,533,996	10,986,078
საკუთარი კაპიტალი				
დაგროვილი მოგება/ზარალი	9	(5,717,159)	(2,171,212)	(331,710)
პერიოდის მოგება/ზარალი		(3,072,023)	(3,545,947)	(1,839,502)
სულ საკუთარი კაპიტალი		(8,789,183)	(5,717,159)	(2,171,212)
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		8,110,436	9,816,837	8,814,866

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 23 სექტემბერს

მინდობილი პირი:

საბა მჭედლიშვილი (პ/ნ: 01009018870) (რწმუნებულების რეგისტრაციის ნომერი: 250880907; ინდივიდუალური ნომერი: 26086176972225)

შპს გლოვო ჯორჯია ინფრასტრუქტურა
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

მოგება-ზარალის ანგარიშგება

	შენიშვნა	2024	2023
გაყიდვებიდან/მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	10	873,836	4,312,280
გაყიდვების თვითღირებულება	11	(37,286)	(2,787,101)
საერთო მოგება		836,550	1,525,180
მარკეტინგის და სარეკლამო ხარჯები		(25)	(2,426)
შრომის ანაზღაურება		(128,942)	(231,898)
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები		(779,188)	(775,854)
ცვეთის ხარჯი		(1,124,390)	(1,299,564)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(189,153)	(1,497,711)
საგადასახადო ხარჯი		(33,260)	(17,904)
პროფესიული მომსახურების ხარჯი		(410,132)	(514,287)
საკონსულტაციო ხარჯები		(147,489)	(129,109)
ბანკის საკომისიო ხარჯი		(744)	(2,330)
სულ საოპერაციო ხარჯები		(2,813,322)	(4,471,083)
საოპერაციო მოგება/(ზარალი)		(1,976,771)	(2,945,904)
საპროცენტო შემოსავალი		17,589	51,514
საპროცენტო ხარჯი	12	(777,287)	(622,840)
გაუფასურების ხარჯი/შემოსავალი		(217,638)	220,840
კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული შემოსავალი/(ზარალი)	13	86,067	(284,277)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ზარალი)		(203,984)	34,721
მოგება/(ზარალი), მოგების გადასახადის ხარჯამდე		(3,072,023)	(3,545,947)
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება/(ზარალი)		(3,072,023)	(3,545,947)

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 23 სექტემბერს

მინდობილი პირი:

საბა მჭედლიშვილი (პ/ნ: 01009018870) (რწმუნებულების რეგისტრაციის ნომერი: 250880907; ინდივიდუალური
ნომერი: 26086176972225)

შპს გლოვო ჯორჯია ინფრასტრუქტურა
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)


საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მ/(ზ)	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	-	(2,171,212)	(2,171,212)
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	(3,545,947)	(3,545,947)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	-	(5,717,159)	(5,717,159)
კაპიტალის ზრდა/შემცირება	-	-	-
პერიოდის მოგება/(ზარალი)	-	(3,072,023)	(3,072,023)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	-	(8,789,183)	(8,789,183)

მომზადებულია ხელმძღვანელობის სახელით 2025 წლის 23 სექტემბერს

მინდობილი პირი:

საბა მჭედლიშვილი (პ/ნ: 01009018870) (რწმუნებულების რეგისტრაციის ნომერი: 250880907; ინდივიდუალური
ნომერი: 26086176972225)



შპს გლოვო ჯორჯია ინფრასტრუქტურა
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში)

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს "გლოვო ჯორჯია ინფრასტრუქტურა" დაფუძნდა 2021 წლის 26 იანვარს და დარეგისტრირდა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ სადენტიფიკაციო ნომრით: 402177880. კომპანიას ჰყავს ერთი დამფუძნებელი: შპს გლოვოაფი ჯორჯია. კომპანიის საქმიანობის სახეა: ბიზნესის სხვა დამხმარე მომსახურების საქმიანობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი, საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობის გაქირავება და მართვა, სხვა საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში. კომპანიაში ამჟამად დასაქმებულია 2 (ორი) თანამშრომელი.

კომპანიის იურიდიული მისამართია : საქართველო, ქ. თბილისი, დიდუბის რაიონი, გამზირი დავით აღმაშენებელი №129ა, მაღაზია №4.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და

სააღრიცხვო პოლიტიკა მომზადების საფუძვლები

კომპანიის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღიწვების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის განკუთვნილი ფინანსური ანგარიშგებების სტანდარტის (IFRS for SME) მიხედვით. კომპანიის მიერ მესამე კატეგორიის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება მეორედ.

კომპანიამ ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოიყენა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დაშვებული შეღავათი, რაც ეხება ფულადი ნაკადების ნებაყოფლობით წარდგენას, რის გამოც არ წარადგენს ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და შესაძარის ინფორმაციას.

მის ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა განსაზღვრულია სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნაში. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობას. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

საადრიცხო პოლიტიკა

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს კომპანია ახორციელებს საქმიანობას ("ფუნქციონალური ვალუტა"). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი. კომპანია ფინანსური ანგარიშგებას წარადგენს ქართულ ლარში. უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებულია საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლითი კურსები.

გაცვლითი კურსი 2024 წლის 31 დეკემბერს	აშშ დოლარი	ევრო
	2.8068	2.9306

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე.

აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცვლა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ; ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
 - ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა;
 - დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს;
- ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს. კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გრძელვადიანი ვალდებულებები არ აქვს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარების დროს აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და ნებისმიერ ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანას და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	თვე
ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	60
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	80
მანქანა-დანადგარები	60

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება მოხდება მოგებაში ან ზარალში, ასეთის არსებობის შემთხვევაში. სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ზარალში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება საღარიბოში ნაღდი ფულის ნაშთისგან და რეზიდენტ ბანკებში არსებული ფულის ნაშთისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს სამართლიანი ღირებულებით, რაც განისაზღვრება გარიგების ფასით. კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გაასხვისებს. ფინანსური აქტივების შემდგომი აღირიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმომდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრუდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

საგადასახადო აქტივები

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდეზე. შედეგად 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს გამიჯნულად.

მოგების გადასახადი

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა განსაზღვრულია კომპანიის წესდებით. ცვლილებების საწესდებო კაპიტალში (მათ შორის საწესდებო კაპიტალის, დამფუძნებლების და ა.შ) შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლების ფაქტობრივი შენატანების მიხედვით.

დაგრობილი მოგება-ზარალი შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების დაგროვილ

მოგება-ზარალს. დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ

პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა.

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის ან მომსახურების რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ როდესაც: კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი ან გაუწია მომსახურება და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა, კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

3. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

	12/31/2024	12/31/2023
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	51,081	441,883
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	29	-
სულ	51,111	441,883

4. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	12/31/2024	12/31/2023
მოთხოვნები მოწოდებიდან და მომსახურებიდან	1,016,985	870,955
მომწოდებელზე გაცემული ავანსები	178,020	1,019,998
სულ	1,195,005	1,890,953

5. მარაგები

	12/31/2024	12/31/2023
საქონელი	81,713	57,962
სხვა მარაგები	38,565	68,324
სულ	120,277	126,286

6. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ცვლილება

დასახელება	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	შენობის გამოყენების უფლება	სულ
თვითღირებულება 01.01.2024	3,660,701	612,146	65,440	242,442	3,418,427	7,999,157
შემოსვლა	920,217	727	-	5,338	2,137,361	3,063,643
გასვლა	600,766	287,204	2,325	10,024	2,194,577	3,094,895
ნაშთი 31.12.2024	3,980,153	325,669	63,115	237,756	3,361,211	7,967,905

დაგროვილი ცვეთა

დასახელება	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	შენობის გამოყენების უფლება	სულ
დაგროვილი ცვეთა 01.01.2024	798,302	292,954	26,721	101,352	619,159	1,838,487
წლიური ცვეთა	446,585	89,163	12,256	48,116	849,327	1,445,447
გასული აქტ.დაგრ ცვეთა -	341,641	157,606	438	2,183	389,993	891,861
დაგროვილი ცვეთა 31.12.2024	903,246	224,511	38,539	147,284	1,078,493	2,392,073
საბალანსო ღირებულება	3,076,907	101,158	24,576	90,472	2,282,718	5,575,832

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	12/31/2024	12/31/2023
მოწოდებიდან ან მომსახურებიდან წარმოქმნილი ვალდებულებები	765,332	1,278,076
სულ	765,332	1,278,076

8. სხვა გრძელვადიანი ვალდებულებები

	12/31/2024	12/31/2023
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულებები	1,901,834	2,269,006
სულ	1,901,834	2,269,006

9. კაპიტალი

კომპანიას არ აქვს საწესდებო კაპიტალი. 2024 წლის მთლიანი სრული შემოსავალია 873,836 ლარი. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დივიდენდები გაცემული არ არის.

10. ამონაგები

2023 წლის განმავლობაში პროდუქციის რეალიზაციიდან და გაწეული მომსახურებიდან მიღებული მთლიანი შემოსავალი არის 3 928 533 ლარი, ხოლო საიჯარო მომსახურებიდან - 383 747 ლარი. 2024 წლის განმავლობაში პროდუქციის რეალიზაციიდან და გაწეული მომსახურებიდან მიღებული მთლიანი შემოსავალი არის 429,446 ლარი, ხოლო საიჯარო მომსახურებიდან - 444,390 ლარი.

11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

2023 წლის განმავლობაში რეალიზებული პროდუქციის მთლიანმა თვითღირებულებამ შეადგინა 2 787 101 ლარი. ხოლო 2024 წლის განმავლობაში რეალიზებული პროდუქციის მთლიანმა თვითღირებულებამ შეადგინა - 37 286 ლარი.

12. საპროცენტო ხარჯები

	2024	2023
გრძელვადიან სესხებზე დარიცხული პროცენტი	(623,964)	(449,394)
საიჯარო ვალდებულებებზე დარიცხული პროცენტი	(153,323)	(173,446)
სულ	(777,287)	(622,840)

13. წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:

	2024	2023
შემოსავლები კურსთაშორის სხვაობიდან	1,537,511	778,038
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან	(1,451,444)	(1,062,315)
სულ	86,067	(284,277)

14. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

2023 და 2024 წელს კომპანიის მიერ ხელმძღვანელ პირზე ანაზღაურება არ გაცემულა.

15. მოვლენები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ, კომპანიაში მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამჟღავნებას საჭიროებს, არ მომხდარა.

16. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება გამოშვებულია ხელმძღვანელობის მიერ და დამტკიცებულია 2025 წლის 23 სექტემბერს.

